



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 146

2011 წლის 28 ოქტომბერი
ქალაქი ხაშური

საავტომობილო საწვავის (ბენზინის) გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 24 ოქტომბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110026997) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი საავტომობილო საწვავის (ბენზინის) შესყიდვაზე, რომელსაც 2011 წლის 28 ოქტომბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოსათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის, მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის და გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურისათვის საწვავის მიწოდება კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოსათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის, მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის და გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურისათვის მისაწოდებლად საავტომობილო საწვავის (ბენზინის) გამარტივებული შესყიდვა.

2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.

3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

